საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი
ზედამხედველობის დეპარტამენტი

ოქმი № 090054

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ

ქ. ახალციხე — 25.02.2025 წ.
(ოქმის შედგენის ადგილი) (თარიღი)

სამცხე-ჯავახეთის ხელოვნური სამკაულების გასამართი
(ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი, გვარი, უწყებრივი კუთვნილება, ტელეფონი)
ინსპექტორის გამოვლენილ ქმედ ყოფილის ჯგუფის
სანქციის გ-ინსპექტორი

სამართალდამრღვევი: ს/ნ

(მონაცემები სამ[illegible] ფიზიკური პირის შემთხვევაში მიითითებ[illegible])

[illegible]ის შემთხ[illegible]

(ნომერი, იურიდიული მისამართი, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მონაცემები)

გამოვავლინე, რომ 2025 წლის 18 თებერვლის ქ.ფოთში
(სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი)
ინსპექტორ [illegible] [illegible], [illegible]
ვეწევით წყლის [illegible], [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [illegible]
20 [illegible] ვეწევით წყლის [illegible] [illegible]
HOWO [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible]

რაც არის:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57¹ 2,6 მუხ

______________________________ დარღვევა,

(მუხლი ან/და მუხლის ნაწილი)

ნარჩენების მართვის კოდექსის ______________________________

______________________________ დარღვევა.

(მუხლი ან/და მუხლის ნაწილი)

სამართალდამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.

სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება:

____

მოწმეებს (მათი არსებობის შემთხვევაში) განემარტათ თავიანთი უფლება-მოვალეობები, გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 256-ე მუხლით.

____

(მოწმის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და მისამართი)

____

ჩამორთმეულ და დალუქულ იქნა შემდეგი ნივთები და დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

20 მ³ [illegible] 6 [illegible].
[illegible] სახ. [illegible]
[illegible] HOWO სახ. [illegible]

მოწმეები (თუ ისინი ესწრებიან): ______________________________

(ხელმოწერა)

____

ოქმის შემდგენელი:

სამართალდამრღვევი:

ოქმის ერთი პირი მივიღე: 25.02.25

(სამართალდამრღვევის ხელმოწერა)

დამკვეთი: სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

დამამზადებელი: შპს "პოლიგრაფისტი"

ახალქალაქის რაიონული სასამართლო

№4/9-25
«21» აგვისტო, 2025 წ.
შემ. № 2636

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის
სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს უფროსს

ბატონ ერეკლე ჭოხონელიძეს

მისამართი: ქ. ახალციხე, ბექა ჯაყელის ქ. N 16

თქვენი მოთხოვნის შესაბამისად, გეგზავნებათ, კანონიერ ძალაში შესული, ახალქალაქის რაიონული სასამართლოს, 2025 წლის 18 მარტის №4/9-25 დადგენილების ასლი, ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, მიმართ, №4/9-25 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე.

დანართი: დადგენილება „ 05" ფურცლად.

პატივისცემით,

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს
მოსამართლის თანაშემწე

საქმე N 150510025011093924
N 4/9-25

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ

ქ. ახალქალაქი

18 მარტი, 2025 წელი

ახალქალაქის რაიონული სასამართლო
მოსამართლე - სოსო სალთხუციშვილი

სხდომის მდივანი -

ორგანოს დასახელება, საიდანაც შემოვიდა საქმე - სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამმართველო, წარმომადგენელი

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი - (დაბადებული: წელს, ; საცხოვრებელი ადგილის მისამართი:

თარჯიმანი -

სასამართლომ განიხილა მასალები ადმინისტრაციული სახდელის დადების თაობაზე, გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57[1] მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისათვის.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

2025 წლის 25 თებერვალს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამმართველოდან შემოვიდა

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი N 090054

საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 57[1] მუხლით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის თაობაზე.

წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ ვულკანური წიდის საბადოდან, რომელიც მდებარეობს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ოკამის მიმდებარედ, უკანონოდ მოიპოვებდა ვულკანურ წიდას, რაზეც არ გააჩნდა შესაბამისი ლიცენზია. კერძოდ, ექსკავატორით უკანონოდ მოიპოვა 20 m^3 ვულკანური წიდა და დატვირთა ავტომანქანა ,,HOWO"-ს მარკის ავტომანქანაზე (სახელმწიფო ნომერი: [illegible]) [illegible]ემდგომი ტრანსპორტირების მიზნით.

წარმოდგენილი მასალების მიხედვით, ქმედების შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობა შეადგენს **240 ლარს.**

სასამართლო სხდომაზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აღმოსავლეთ-ცენტრალური სამმართველოს წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა სამართალდარღვევის ოქმს და ითხოვა დაჯარიმება, ასევე მისთვის გარემოზე მიყენებული ზიანის - **240** ლარის დაკისრება.

სასამართლო სხდომაზე ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი დაეთანხმა ოქმში აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებს და აღიარა სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი.

სასამართლომ შეამოწმა წარმოდგენილი მტკიცებულებები, საქმეში არსებული მასალები, სამართალდარღვევის ოქმი და დადასტურებულად მიაჩნია, რომ სახეზეა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57[1] მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57[1] მუხლის საფუძველზე, წიაღით სარგებლობა სათანადო ლიცენზიის გარეშე – გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარიდან 2500 ლარამდე, სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციით ან უამისოდ და სამართალდარღვევის ობიექტის (მყარი სასარგებლო წიაღისეულის) კონფისკაციით.

შენიშვნა: 1. თუ სამართალდარღვევის ობიექტი (მყარი სასარგებლო წიაღისეული) სატრანსპორტო საშუალებაზეა განთავსებული, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის დასრულებამდე ხდება სატრანსპორტო საშუალების დროებით ჩამორთმევა მასზე განთავსებულ მყარ სასარგებლო წიაღისეულთან ერთად და სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანა. ტრანსპორტირებისა და სატრანსპორტო საშუალების

სპეციალურ დაცულ სადგომზე შენახვის ხარჯები სამართალდამრღვევს დაეკისრება. 4(1)

სატრანსპორტო საშუალება მის მფლობელს (მესაკუთრეს) დაუბრუნდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე შესაბამისი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, ჯარიმის გადახდისა და წიაღით უკანონოდ სარგებლობისთვის დაკისრებული გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების დამადასტურებელი დოკუმენტისა და სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობის ან მინდობილობის წარდგენის შემთხვევაში.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ორგანო (თანამდებობის პირი) დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას, პირის ბრალეულობას მის ჩადენაში და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ეს მონაცემები დადგინდება შემდეგი საშუალებებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებით, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით, ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული გამოკვლევის (ტესტირების) შედეგებით, ვიდეოფირით ან ფოტოფირით, ნივთიერი მტკიცებულებით, ნივთისა და დოკუმენტის ამოღების ოქმით და სხვა დოკუმენტებით.

საქმეში არსებული მასალებით, სამართალდარღვევის ოქმით, შემოწმების აქტით, ფოტომასალებით, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს წარმომადგენლის და სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტებით დადგენილია, რომ 2025 წლის 18 თებერვალს, ვულკანური წიდის საბადოდან, რომელიც მდებარეობს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ოკამის მიმდებარედ, უკანონოდ მოიპოვებდა ვულკანურ წიდას, რაზეც არ გააჩნდა შესაბამისი ლიცენზია. კერძოდ, ექსკავატორით უკანონოდ მოიპოვა 20 m^3 ვულკანური წიდა და დატვირთა ავტომანქანა ,,HOWO"-ს მარკის ავტომანქანაზე (სახელმწიფო ნომერი: შემდგომი ტრანსპორტირების მიზნით. ამასთან, დადგენილია, რომ მისი უკანონო ქმედების შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობა შეადგენს **240 ლარს.**

ამრიგად, ცნობილ უნდა იქნეს სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57^1 მუხლით.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 33-ე მუხლის შესაბამისად, სახელის დადებისას მხედველობაში მიიღება ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა,

პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი.

სასამართლოს მიაჩნია, რომ სამართალდარღვევის ხასიათისა და დამრღვევის პიროვნების მხედველობაში მიღებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57[1] მუხლით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენისათვის ადმინისტრაციული სახდელის სახით უნდა განესაზღვროს ჯარიმა 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით, რაც სავსებით უზრუნველყოფს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 23-ე მუხლში მითითებულ მიზნებსა და ამოცანებს - იმოქმედებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის სულისკვეთებაზე კანონების დაცვისა და საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის მიმართ, აგრეთვე, როგორც თვით სამართალდამრღვევის, ისე სხვა პირთა მიერ ახალი სამართალდარღვევის ჩადენის თავიდან აცილებაზე. ამასთან, უნდა მოხდეს სამართალდარღვევის ობიექტის - 20 მ³ ვულკანური წიდის კონფისკაცია.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციულმა სამართალდარღვევამ ქონებრივი ზიანი მიაყენა მოქალაქეს, საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას ან სახელმწიფოს, მაშინ მოსამართლე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის სახდელის დადების საკითხის გადაწყვეტისას ვალდებულია სამართალდამრღვევს იმავდროულად დააკისროს მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

მოცემულ შემთხვევაში, სამართალდამრღვევის უკანონო ქმედებით გარემოზე (სახელმწიფოზე) მიყენებულმა ზიანმა შეადგინა **240** ლარი, რაც დასტურდება საქმეში არსებული გარემოზე მიყენებული ზიანის გაანგარიშების უწყისით. შესაბამისად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-40 მუხლის თანახმად, უნდა დაეკისროს აღნიშნული ზიანის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-40, 57[1]-ე, 266-268-ე, 271-ე, 273-ე, 290-ე მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ცნობილ იქნეს სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57[1] მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისათვის და ადმინისტრაციული სახდელის დაეკისროს **ჯარიმა 2000 (ორი ათასი) ლარის** ოდენობით.

2. განემარტოს სამართალდამრღვევს, რომ მან დაკისრებული სახდელი (ჯარიმა) უნდა გადაიხადოს დადგენილების მისთვის ჩაბარებიდან არა უგვიანეს 7 (შვიდი) დღისა. აღნიშნული ვადის დინება არ შეჩერდება დადგენილების გასაჩივრების შემთხვევაში. თანხა უნდა ჩაირიცხოს ცენტრალურ ბიუჯეტში, **სახელმწიფო ხაზინა; ბანკის კოდი TRESGE22; ანგარიშის ნომერი/სახაზინო კოდი: 302003541;** თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი (ქვითარი) წარმოდგენილ იქნეს ახალქალაქის რაიონულ სასამართლოში, წინააღმდეგ შემთხვევაში დადგენილება მიექცევა იძულებით აღსასრულებლად.

3. დაეკისროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გარემოზე მიყენებული ზიანის - **240 ლარის** გადახდა. თანხა ჩაირიცხოს ცენტრალურ ბიუჯეტში დადგენილების გამოტანიდან 15 დღეში, ხაზინის ერთიანი ანგარიში; მიმღები ბანკი: **სახელმწიფო ხაზინა; ბანკის კოდი: TRESGE22; ანგარიშის ნომერი/სახაზინო კოდი: 302003581;** თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი (ქვითარი) წარმოდგენილ იქნეს ახალქალაქის რაიონული სასამართლოში, წინააღმდეგ შემთხვევაში დადგენილება მიექცევა იძულებით აღსასრულებლად.

4. კონფისკაციას დაექვემდებაროს ჩამორთმეული სამართალდარღვევის ობიექტი - 20 m^3 ვულკანური წიდა.

5. ჩამორთმეული სამართალდარღვევის იარაღი - ექსკავატორი (სახელმწიფო ნომერი: და ,,HOWO"-ს მარკის ავტომანქანა (სახელმწიფო ნომერი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს.

6. დადგენილების ასლი გაეგზავნოს სამართალდამრღვევს, სამართალდარღვევის ოქმის შემდგენს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (ქ. თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი N7ა), მისი ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში ახალქალაქის რაიონული სასამართლოს მეშვეობით (ქ. ახალქალაქი, მაშტოცის ქუჩა N 110).

მოსამართლე **სოსო სალთხუციშვილი**

ასლი დედანთან სწორია
შესულია კანონიერ ძალაში
ახალქალაქის რაიონული სასამართლო
სელმოწერა:
21 08 2025